მედია პროექტი

1 ოქტომბერი 2015 წელი

N 27/11-09

კოდორის ხეობის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ ლაშა მარგიანს

ბატონო ლაშა, როგორც მოგეხსენებათ, სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტი „ეტალონი“ საქართველოში უკვე მე-10 წელია წარმატებით ხორციელდება და ის დღეს უკვე არამარტო ერთი **კონკრეტული გადაცემა, არამედ მრავალმიმართულებიანი პროექტია. პროექტის განვითარების ამჟამინდელი, მესამე სტადიის კონცეფცია და სლოგანი სულ ერთ მარტივ, თუმცა მოცულობით წინადადებაში ეტევა: სახალხო იდეა „ეტალონი“ – ბედნიერება ყველას სჭირდება !**

„ეტალონის“ მთავარი მიზანი კვლავაც საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში მცხოვრები ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათი განათლების მიღებით მოტივირებაა.

2015 წლის 6 სექტემბერს ფილარმონიაში „ეტალონის“ 10 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა – საქართველოს აბსოლუტურად ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტიდან ჩამოსულმა 3500-ზე მეტმა მოსწავლემ, პედაგოგმა, მშობლებმა მოიყარეს თავი, და როგორც აღმოჩნდა, იუბილეზე დასწრების მსურველი ბევრად მეტი იყო.

სწორედ ამ საიუბილეო ღონისძიებამ დაგვარწმუნა იმაში, რომ ამ ეტაპზე ძალიან ეფექტური იქნება „ეტალონის“ გასვლითი არასატელევიზიო ფორმატის ინტელექტუალური კონკურსების ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში ჩატარება. „ეტალონის“ კრეატიულად, ამ ფორმით განხორციელება საშუალებას მოგვცემს კონკურსში ბევრად მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს და წინასწარი გათვლებით, **პროექტის ეფექტურობა მინიმუმ 30-ჯერ გაიზრდოს.**




2015 წლის 6 სექტემბერს „ეტალონის“ 10 წლის იუბილის ღონისძიების ამსახველი ფოტოები. სრული ფოტოკოლაჟი იხილეთ „ეტალონის“ ფეისბუქ-გვერდზე: www.facebook.com/etaloni

აღნიშნული ჩანაფიქრს მიეცა პროექტის სახე სახელწოდებით: **„საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი 2016“** და ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით (იხ დანართი №1). **„ეტალონის“ რეგიონული გასვლითი თამაშების: „კოდორის ხეობის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსი სავარაუდოდ ჩატარდება 2016 წლის აპრილში.**

გთხოვთ ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო თანხა – 2960 ლარი გაითვალისწინოთ 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას (აპრობირებული ხელშეკრულება გაფორმდება შპს „ეტალონი-მედიასთან“) და **ამასთანავე, გამოყოთ პასუხისმგებელი პირი, რომელიც აქტიურად ჩაერთვება საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.**

პატივისცემით,

„ეტალონის“ ავტორი გოჩა ტყეშელაშვილი 577 46 58 49

„ეტალონის“ პროექტების მთავარი მენეჯერი მანანა ღოღობერიძე 577 44 24 74 Email: manana@etaloni.ge

აფხაზეთის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი: № 294
„25“ 10 2015 წ.
ფაქტიური

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი

„ეტალონი 2016“

პროექტის მიზანი:

„2015 – 2016 სასწავლო წლის საქართველოს „ეტალონი მოსწავლის“ გამოვლენა

პროექტის გეოგრაფია:

„ეტალონი 2016“-ში ჩართული იქნება – საქართველოს 9 რეგიონი; აჭარის ა/რ; აფხაზეთის ა/რ; თბილისი. – **სულ: 82 ქალაქი და მუნიციპალიტეტი**

პროექტის კონკრეტული გეოგრაფია:

9 რეგიონი: სამეგრელო-ზემო სვანეთი (10); იმერეთი (12); გურია (4); კახეთი (9); რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (5); ქვემო ქართლი (7); სამცხე-ჯავახეთი (7); მცხეთა-მთიანეთი (5); შიდა ქართლი(5);

(სულ: 64)

+ 2 ავტონომიურ რესპუბლიკა: აჭარის ა/რ (6); აფხაზეთის ა/რ. + ახალგორი

+ თბილისი (10 – რაიონული გამგეობების მიხედვით) = 82

. . . ანუ 2016 წლის აპრილის ჩათვლით გამოვლინდება: რეგიონების 2015 – 2016 სასწავლო წლის „ეტალონი მოსწავლეები“; გამოვლენილ „ეტალონი“ მოსწავლეებს შორის 21 მაისს „საქართველოს 2015 – 2016 სასწავლო წლის „ეტალონი მოსწავლე“ გამოვლინდება;

პროექტის მოცვა:

– „ეტალონი 2016“-ში პირდაპირ და არაპირდაპირ ჩართული იქნება საქართველოს **120 000 უფროსკლასელი** (VIII; IX; X; XI; XII კლასები). პროექტი დადებით გავლენას მოახდენს არამარტო ახალგაზრდებზე, არამედ მთელ საგანმანათლებლო სფეროზე.

პროექტის პოზიტიური თავისებურება:

– „ეტალონი 2016“-ში ჩართული იქნება განსხვავებული ასაკობრივი დიაპაზონის საქართველოს 120 000 უფროსკლასელი – განურჩევლად: **ეროვნებისა; სქესისა; რელიგიური მრწამსისა; მოზარდის ოჯახის სოციალური მდგომარეობისა; საცხოვრებელი ადგილისა; ფიზიკური შესაძლებლობებისა.**

პროექტის კულმინაცია:

– პროექტის კულმინაცია იქნება საზეიმო ღონისძიება – „ეტალონი 2016“-ის ფინალური თამაში, რომელიც ჩატარდება 2016 წლის 21 მაისს (შაბათი) სპორტის სასახლეში 15:00 საათზე, სადაც მონაწილეობას მიიღებს 82 ქალაქის, მუნიციპალიტეტისა და რაიონული გამგეობების „ეტალონი“ მოსწავლეები და იქვე გამოვლინდება „საქართველოს 2015 – 2016 სასწავლო წლის ეტალონი მოსწავლე“;

ღონისძიებას დაესწრება – გადამწყვეტი თამაშის მონაწილეთა **7 500 გულშემატკივარი;** ღონისძიებას დაემატება – **შეწონილი შემოქმედებითი ნომრები და სანახობრივი ელემენტები (შოუ); იქნებიან ოფიციალური გამომსვლები; ამასთან, არსებული ინტერესიდან გამომდინარე, ღონისძიება გადაიცემა პირდაპირ ეთერში.**

პროექტის განხორციელების მეთოდი:

– პროექტი განხორციელდება „ეტალონის“ წარმატებულად აპრობირებული და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სისტემური მეთოდით – „ეტალონი“ მეთოდი ძირითადად აგებულია: თამაშ-თამაშით ახალგაზრდების სწავლა–განათლებით დაინტერესებაზე; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე; კულტურული და შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობაზე; პოზიტიური განწყობის შექმნაზე; კითხვა-პასუხების შედგენის სამეცნიერო მიდგომებზე და ა. შ.

პროექტის განხორციელების სქემა:

გადამწყვეტი თამაშის მონაწილეების გამოვლენის მიზნით, კონკრეტული გრაფიკის მიხედვით, თითოეულ რეგიონში (შესაბამისად, ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში), განხორციელდება ქვეპროექტები:

– „სამეგრელო-ზემო სვანეთის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;
– „იმერეთის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;
– „გურიის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;
– „კახეთის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;
– „რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;
– „აფხაზეთის ა/რ-ის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;
– „აჭარის ა/რ-ის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;
– „ქვემო ქართლის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;
– „სამცხე ჯავახეთის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;
– „მცხეთა-მთიანეთის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“ (მათ შორის ახალგორის მუნიციპალიტეტი)
– „შიდა ქართლის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;
– „თბილისის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;
– „კოდორის ხეობის ინტელექტ-ჩემპიონატი – ეტალონი 2016“;

რეგიონების გრაფიკი: ოქტომბერი – **სამეგრელო-ზემო სვანეთი;** ნოემბერი – **იმერეთი;** დეკემბერი – **კახეთი; გურია;** იანვარი – **აფხაზეთის ა/რ;** თებერვალი – **შიდა ქართლი; ქვემო ქართლი;** მარტი – **სამცხე-ჯავახეთი; მცხეთა-მთიანეთი;** აპრილი – **აჭარის ა/რ; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემოს სვანეთი.**

შენიშვნა – **თბილისი,** განხორციელდება 10 რაიონული გამგეობის მიხედვით, ოქტომბრიდან – აპრილის ჩათვლით პარალელურ რეჟიმში;

პროექტის მასშტაბური მიზანი: I. ახალგაზრდების სწავლა-განათლებითა და ჯანსაღი ცხოვრების წესით უფრო მეტად, კრეატიულად და თამაშ-თამაშითა დაინტერესაბა-მოტივირება; II. სახელმწიფოს მხრიდან განათლებული და ჯანსაღი ახალგაზრდების მიმართ პერმანენტული და მიზანმიმართული მხარდაჭერა; III. რეგიონებსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ახალგაზრდებსა და პროექტის თანამოაზრეებს შორის კონტაქტების დამყარება; IV. რეგიონებში 2015 – 2016 სასწავლო წლის „ეტალონი“ მოსწავლეების გამოვლენა და მათი, მათი მშობლების (ოჯახის წვრების) და პედაგოგების წახალისება;

პროექტს ახორციელებს:

– „ეტალონის“ შემოქმედებითი ჯგუფი – ტექნიკური მორგება და პროექტის სისტემური განხორციელება;

– საქართველოს მთავრობა (რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი) – პროექტის დაგეგმვა და კოორდინირება;

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – ორგანიზაციული მხარდაჭერა;

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო – ფინალური ღონისძიების ორგანიზაციული მხარდაჭერა

მედია პროექტი

31 დეკემბერი 2015 წელი

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ ლაშა მარგიანს

2015 წლის ოქტომბრის სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ წერილთან (რომელიც გულისხმობს „ეტალონის“ გასვლითი არასატელევიზიო ფორმატის ინტელექტუალური კონკურსის ჩასატარებლად საჭირო თანხის აჭარის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებას) დამატებით გაცნობებთ, რომ „ეტალონის“ რეგიონული გასვლითი არასატელევიზიო თამაშების „აჭარის მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება იგეგმება 2016 წლის 18 მარტს.

გთხოვთ გამოყოთ ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო თანხა – 2960 ლარი და მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები აქტიურად ჩართოთ ღონისძიების საორგანიზაციო და ფინანსური საკითხების მოგვარებაში.

პატივისცემით,

„ეტალონის“ ავტორი გოჩა ტყეშელაშვილი

მედიაპედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტი
შემოს. № 365
„31“ 12 2015 წ.
ფურცელი